საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ალექსანდრე კობაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	12	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	65	100

სახელი, გვარი: ბოლქვი ბზიავა

თარიღი : 29.04.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ აპრილი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ალექსანდრე კობაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **ალექსანდრე კობაიძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**ალექსანდრე კობაიძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის **-ალექსანდრე კობაიძის** კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ იგი არის თავდაჯერებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორი გამოთქვამს მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოკითხული რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, მიზანდასახულობას, ორატორულ უნარს, პუნქტუალურობას, გულისხმიერებას. ამასთან რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისათვის ზედმეტად დიდი დროის დათმობას, ბრაზისა და საზოგადოებისაგან მიყენებული ნეგატიური ემოციების დაფარვას.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ 3 წლის განმავლობაში ალექსანდრე კობაიძეს ჩადენილი აქვს 31 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც მიუთითებს მისი, როგორც მოქალაქის პასუხისმგებლობის შეგრძნების ნაკლოვანებებზე. ასევე ირკვევა, რომ დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დაგვიანებით, ხოლო 3 ჯარიმა არის გადაუხდელი.

ზემოთ მითითებული და ასევე სხვა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და პუბლიკაციები მიუთითებს ალექსანდრე კობაიძის ზერელე დამოკიდებულებაზე სამსახურებრივი მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების მიმართ.

<u>დასკვნა:</u> ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**ალექსანდრე კობაიძე <u>აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ალექსანდრე კობაიძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი საშუალო დონეზე იცნობს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს. ბუნდოვნად იცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საჯარო მოსმენისას მის მიმართ დასმული იქნა არაერთი სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, მათ შორის: სისხლის სამართლის კუთხით, რაც არის სასჯელის მიზანი, სტამბოლის კონვენციის მიხედვით, სასამართლოს როლი განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებთან მიმართებით. დაისვა ზოგადი ხასიათის კითხვები სასამართლოს სისტემაში არსებულ პრობლემების თაობაზე. კანდიდატი გამოიკითხა მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სამართლის კუთხით დაისვა კითხვა აბსოლუტურ უფლებებთან, ასევე, უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაზედაც კანდიდატმა დააფიქსირა ზოგადი, ბუნდოვანი და არასრული პასუხები. დაისვა კითხვები საქართველოს კონსტიტუციიდან, ასევე, სამართლის თეორიიდან - ნორმის განმარტების ხერხებთან დაკავშირებით. დაისვა კითხვა სამოსამართლო სამართლის თაობაზე - არის თუ არა ის სამართლის წყარო, ასევე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების პრეცედენტულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რაზედაც კანდიდატმა ვერ გასცა ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

ალექსანდრე კობაიძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 10 წლის გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კომპეტენტურობით, ორატორული უნარით. კანდიდატი ამჟამად ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

გასაუბრებისას კანდიდატისთვის დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხებიდან და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ალბათობის მაღალი ხარისხით ვივარაუდოთ, რომ კანდიდატი მარჯვედ იყენებს ორატორულ ნიჭს რიგ სამართლებრივ საკითხებში არასათანადო ცოდნის გადასაფარად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 12 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ალექსანდრე კობაიძე გამოირჩევა გამართული მეტყველებითა და მეტ ნაკლებად სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს მის პოზიციასა და შეხედულებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს მეტ-ნაკლებად ეტყობოდა მღელვარება. ალექსანდრე კობაიძის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი იქნა სტატია -„ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება." და სადისერტაციო ნაშრომი - „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში". სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს მეტ-ნაკლებად ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არსებითად გამართულია და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორისა და კანდიდატთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე. მიუხედავად აღნიშნულისა, მიჭირს, დავასკვნა, რომ იგი შეძლებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის რთულ და სტრესულ საქმიანობასთან გამკლავებას.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 11 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ალექსანდრე კობაიძე არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

1. სტატია -„ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება."
2. სადისერტაციო ნაშრომი - „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში"

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

2.6. პროფესიული აქტივობა

ალექსანდრე კობაიძეს აქვს მონაწილეობა მიღებული საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, კერძოდ:

ალექსანდრე კობაიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში
- სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:

- 2014 წელი ადვოკატთა საკვალიფიკაციო დამოცდა.
- 2009-2012წწ. იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ალექსანდრე კობაიძე** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ალექსანდრე კობაიძე** **აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს,** მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **65** (სამოცდა ხუთი) ქულა.



გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი